

საქართველოს თავდაცვის მინისტრის
ბრძანება N MOD 0 19 00000033
2019 წლის 21 იანვარი ქ.თბილისი
ღირსშესანიშნავი დღეების დაწესების შესახებ

საქართველოს ზოგადი ადმინისტრაციული კოდექსის 61-ე მუხლის, „საქართველოს თავდაცვის შესახებ“ საქართველოს კანონის მე-8 მუხლის მე-13 პუნქტისა და „სამხედრო სამსახურის დებულების დამტკიცების შესახებ“ საქართველოს მთავრობის 2014 წლის 18 მარტის №238 დადგენილებით დამტკიცებული სამხედრო სამსახურის დებულების პირველი თავის მე-6 პუნქტის თანახმად,

ვ ბ რ ძ ა ნ ე ბ ე:

1. საქართველოს თავდაცვის ძალების შექმნისა და აღმშენებლობის კუთხით მნიშვნელოვანი თარიღების აღსანიშნავად, დაწესდეს ღირსშესანიშნავი დღეები დანართი №1-ის შესაბამისად.
 2. ძალადაკარგულად გამოცხადდეს „ღირსშესანიშნავი დღეების დაწესების შესახებ“ საქართველოს თავდაცვის მინისტრის 2014 წლის 4 დეკემბრის №1690 ბრძანება.
 3. ბრძანება ძალაშია ხელმოწერის დღიდან.
- მინისტრი ლევან იზორია